ოქმი:**ო06. 3723179001**

თარიღი:**28/06/2023**

ოქმი # 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

2023 წელი, 28 ივნისი

ქ.ოზურგეთი

13:00-14 :00 საათი

თავმჯდომარეობდა: ნინო ჭანიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს მდივანი: მარინა ვაშალომიძე

საბჭოს წევრები: ქეთევან ხომერიკი, ვლადიმერ ხავთასი, ხათუნა ცერცვაძე, ნინო ნადირაშვილი, მარიკა ჩხიკვიშვილი, ბექა თოიძე, ნუგზარ ურუშაძე, გიორგი შილაკაძე, გიორგი სირაძე, ხათუნა თავდიშვილი

მოწვეული სტუმარი:

მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური - კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განყოფილების სპეციალისტი, გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი - ქეთი მახარაძე.

სხდომის თავმჯდომარე ნინო ჭანიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და გააცნო მათ სხდომის დღის წესრიგი. სხდომას ესწრებოდა 12 წევრი.

დღის წესრიგი:

1. **ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული შეფასებისა და სამოქმედო გეგმის ინსტრუმენტის პირველი ნაბიჯების მიმოხილვა**

მომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული შეფასებისა და სამოქმედო გეგმის ინსტრუმენტის პირველი ნაბიჯები, განიხილეს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა და გამოკვეთეს პრიორიტეტები. მათ, შორის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება გაგრძელდეს გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობა დასახელებული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

2. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024 წლის ბიუჯეტისთვის წარსადგენი ინიციატივების განხილვა**

მომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს დამსწრე წევრებთან ერთად იმსჯელეს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024 წლის ბიუჯეტისთვის წარსადგენი ინიციატივის შესახებ. კერძოდ, სახელმწიფო ზრუნვის პროგრამაში ჩართულ იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც 18 წლიდან უწყდებათ პროგრამის მომსახურება ჩაუტარდეთ საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზეც შემუშავდება რეაგირების მექანიზმები.

გადაწყდა, ზემოთ აღნიშნული და სხვა ინიციატივების განხილვა გაგრძელდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო ჭანიშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭო-საბჭოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი